ბრძანება:**ბ47. 4725323001**
თარიღი:**19/11/2025**

ბრძანება N 97

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 28 ნოემბერს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ“ ჩოხატაურის N62 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2025 წლის 03 ნოემბრის N43/2025 განკარგულების, ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: მარიტა მგალობლიშვილი

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

1.2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

1.3. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა შენგელია

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

1.4. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარიტა მგალობლიშვილი

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

1.5. „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 ივნისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

მომხსენებელი: მარიტა მგალობლიშვილი

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

1.6. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2029 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 22 ოქტომბრის N13 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

მომხსენებელი: ლიკა ასიეშვილი

საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი აქტების,

პროექტების მომზადებისა და ექსპერტიზის საკითხებში

1.7. ა(ა)ი.პ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან გიორგაძე

ა(ა)ი.პ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

„სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ დირექტორი

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით შარაშიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი